საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-10/141

ქ. ბათუმი 11 ნოემბერი, 2022 წელი

ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ) წესდების მე-15 მუხლის, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული ,,შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის და ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამეტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, თამარ მესხიძის 2022 წლის 11 ნოემბრის №MES 8 22 0001440938 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ბსუ-ს მიერ კაპიტალური სარემონტო სამუშაოების/მშენებლობების შესყიდვაზე გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
ა) როლანდ ხალვაში - მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი (ჯგუფის ხელმძღვანელი);
ბ) მერაბ ხალვაში - მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (ჯგუფის წევრი);
გ) ედიშერ ჩავლეიშვილი - დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი (ჯგუფის წევრი);
დ) გიორგი დიასამიძე - იურიდიული დეპარტამენტის სამსახურის მთავარი სპეციალისტი (ჯგუფის წევრი).

2. ინპსექტირების ჯგუფის მიერ კაპიტალური სარემონტო სამუშაოების/მშენებლობების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების შესრულების კონტროლი განხორციელდეს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა ღირებულება შეადგენს ან/და აღემატება 200 000 ლარს.
3. ინსპექტირების ჯგუფმა განახორციელოს შემდეგი ფუნქციები:
ა) სარემონტო/სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების ჯეროვანი შესრულების კონტროლი, მიწოდების ვადების შესრულებასთან შესაბამისობის დადასტურება;
ბ) საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება;
გ) ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება.
4. კონტროლის ჯგუფის წევრის მიერ თითოეული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით, შედგენილი იქნას ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ.

5. ბსუ-ს მიერ კაპიტალური სარემონტო სამუშაოების/მშენებლობების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა ღირებულება შეადგენს ან/და აღემატება 200 000 ლარს კონტროლის ჯგუფისთვის მიწოდება და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება უზრუნველყოს ბსუ-ს შესყიდვების სამსახურმა.
6. ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.
7. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
8. ბრძანება ძალაშია მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოში მის: ქ.ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30, კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე